თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3849532

ნომერი: AR1578550

თარიღი : 19.02.2018

გაცემის თარიღი : 05.03.2018

გაცნობის თარიღი : 15.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წყალტუბო , N 24 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო კილაძე პ/ნ 62001007240
- სოხუმი ვ.ლაკობას ქ. N 35 ბ. 12

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1578550 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, წყალტუბოს ქუჩა #24-ში, ##01.13.04.020.043 საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური შენობის „ა“ და „ბ“ ბლოკების მშენებლობასთან დაკავშირებით სამსახურის მიერ გაცემულია შემდეგი აქტები:

2010 წლის 20 იანვრის #01/156 ბრძანებით შეთანხმდა შენობის „ა“, „ბ“ და „დ“ ბლოკების არქიტექტურული პროექტი.

2010 წლის 15 ივნისის #01/1209 ბრძანებით შეთანხმდა შენობის „ა“, „ბ“ და „გ“ ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2010 წლის 30 ივნისიდან 2012 წლის 30 ივნისამდე.

2010 წლის 17 დეკემბერს #01/2882 ბრძანებით შეთანხმდა შენობის „ა“, „ბ“ და „გ“ ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა „ა“ და „გ“ ბლოკების მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. „ა“ ბლოკის მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2010 წლის 30 დეკემბრიდან 2011 წლის 30 დეკემბრამდე.

2013 წლის 18 ივნისის #743336 ბრძანებით გაიცა შენობის ,,ა" ბლოკის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 19 ივნისიდან 2015 წლის 19 ივნისის ჩათვლით.

2014 წლის 29 მარტის #1194545 ბრძანებით შეთანხმდა შენობის "ა" ბლოკის კორექირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 29 მარტიდან 2016 წლის 28 მარტის ჩათვლით.

2015 წლის 4 მარტის #1752348 ბრძანებით შეთანხმდა "ბ" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 04.03.2015 წ-დან 04.01.2017 წ-ის ჩათვლით.

2015 წლის 4 სექტემბრის #2175378 ბრძანებით შეთანხმდა შენობის "ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და 2015 წლის 29 სექტემბრის #2212115 ბრძანებით გაიცა შენობის "ა" ბლოკის კოექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 30 სექტემბრიდან 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

2015 წლის 11 დეკემბრის #2337106 ბრძანებით შეთანხმდა შენობის "ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 10.12.2015 წ-დან 10.12.2017 წ-ის ჩათვლით.

2016 წლის 4 იანვრის #2372542 ბრძანებით შეთანხმდა შენობის "ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 05.01.2016 წ-დან 05.01.2018 წ-ის ჩათვლით.

2016 წლის 28 აპრილის #2568765 ბრძანებით შეთანხმდა შენობის "ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით.

2016 წლის 23 აგვისტოს #2794521 ბრძანებით შეთანხმდა შენობის "ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 23 აგვისტოდან 2017 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.

2016 წლის 29 დეკემბრის #3015436 ბრძანებით შეთანხმდა შენობის "ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 30 დეკემბრიდან 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

2017 წლის 27 იანვრის #3065717 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 დეკემბრის #3015436 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 5790.59 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 702.59 კვ.მ., საერთო ფართობად - 8824.41 კვ.მ.;

2017 წლის 4 იანვრის #3029489 ბრძანებით შეთანხმდა "ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 04.01.2017 წ-

დან 04.01.2019 წ-ის ჩათვლით.

2017 წლის 7 თებერვლის #3086306 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 იანვრის #3029489 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ნაცვლად „ა“ ბლოკისა დაფიქსირდა „ბ“ ბლოკი. სამსახურის 2017 წლის 04 იანვრის #3029489 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;

2017 წლის 23 მარტის #3164298 ბრძანებით შეთანხმდა შენობის "ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 24 მარტიდან 2017 წლის 24 ივლისის ჩათვლით.

2017 წლის 25 აპრილის #3224255 ბრძანებით გასწორდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის #3164298 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ჩანაცვლდა 2017 წლის 23 მარტის #3164298 ბრძანებაში თანდართული საპროექტო გეგმები, 2017 წლის 10 აპრილის #AR1494727 განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე ქ.თბილისში, წყალტუბოს ქუჩა #24-ში, ##01.13.04.020.043 საკადასტრო ერთეულზე, სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge